ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

26 (10013) • 1 ivlisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს სხდომა კონფლიქტში გადაიზარდა

გაზეთი ალიონი

განსაკუთრებული ინტერესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 ივნისის სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებულმა ბოლო საკითხმა გამოიწვია. მას შემდგომ, რაც საკრებულოს უკვე ყოფილმა თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა და თავმჯდომარის შტატი ვაკანტური გახდა, ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი განიხილებოდა. მოარული ჭორებით, მავანს უარი ათქმევინეს სურვილსა თუ დავალებაზე მისი კანდიდატურის განსახილველად. მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის სასურველ კანდიდატად დეპუტატი დიმიტრი კვერღელიძე მოიაზრებოდა. მისი კანდიდატურა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ლევან ნინიძემ დასახელა. მალევე გახდა ცნობილი მეორე კანდიდატის ვინაობაც. ის ავთანდილ სურგულაძე გახლდათ. აღსანიშნავია, რომ დეპუტატებმა მის კანდიდატად ხმამაღლა დასახელებას თავი აარიდეს.

სხდომას ესწრებოდნენ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე, დეპუტატები: გიორგი ცაგარეიშვილი, თამაზ შიოშვილი.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი უძღვებოდა. მუხედავად დაინტერესებულ პირთა დიდი რაოდენობისა და დაძაბული სიტუაციისა, მექვაბიშვილმა შესძლო სხდომის მშვიდ ვითარებაში ჩატარება. ყველა საკითხი სწრაფად იქნა განხილული. საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე შესაძლებლობა მიეცათ საკრებულოს წევრებს თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირებისა.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ აშკარა მხარდაჭერა გამოუხატა დიმიტრი კვერღელიძეს და მოუწოდა სურგულაძეს მოეხსნა საკუთარი კანდიდატურა. — ავთოს არ უნდოდა თავისი კანდიდატურის დასახელება, ეს არის იძულებითი, თუ არ მოხსნის თავის კანდიდატურას, წინაალმდეგ შემთხვევაში დავასახელებ, რომ ის სამ სამსახურში იყო წარმოდგენილი და 12 ათას ლარზე მეტი ოდენობით თანხას ღებულობდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

შემდეგ დიმიტრი კვერღელიძემ წარმოადგინა თავისი ხედვა თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში. ავთანდილ სურგულაძე შეჰპირდა დაინტერესებულ საზოგადოებას, ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი არჩევის შემთხვევაში.

არჩევნებს მედიის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მსვლელობა პროცედურულად სწორად წარიმართა. მონაწილეობა 35 დეპუტატმა მიიღო. ხმის დათვლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ხმათა უმრავლესობით (20 ხმა) გაიმარჯვა ავთანდილ სურგულაძემ. მეორე კანდიდატმა 8 ხმა მიიღო. ორ ბიულეტენში ორთავე კანდიდატი იყო გადახაზული, 5-ში ორთავე შემოხაზული. პირველმა დიმიტრი კვერღელიძემ მიულოცა გამარჯვება სურგულაძეს, თუმცა მომავალ თანამშრომლობაზე თანხმობა არ განუცხადა. აღსანიშნავია, რომ დეპუტატებმა აშკარად ვერ დაუჭირეს მხარი საარჩევნო კომისიის დადგენილებას ხმათა განაწილების თაობაზე. დაძაბულობამ გარეთ, დერეფანში გადაინაცვლა. დეპუტატთა ეს გადაწყვეტილება ნაციონალთა წისქვილზე წყალის დასხმად შეფასეს, გაისმოდა რეპლიკები: - სანამ უნდა მართავდეს ნაციონალები და ძველი ხელისუფლება ოზურგეთს, რაც შეეხება სურგულაძეს, მას დამნაშავე პარტიის კანდიდატი უწოდეს. ისინი მიღებული შედეგის გამო მუნიციპალიტეტის გამგებელს ადანაშაულებდნენ. ითხოვდნენ ახლადარჩეული თავმჯდომარის გამოსვლას, რომელმაც წინასწარვე დაიჭირა თადარიგი და გაერიდა მათ. მოითხოვეს დეპუტატთან შეხვედრა. ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, მიღებული არჩევანი არის დეპუტატებზე ზეწოლის შედეგი და ის მათთვის იქნება მაგალითის მიმცემი. ასევე აღუთქვა ოზურგეთლებს, რომ ის თავად დაესწრება საკრებულოს სხდომებს.

განაწყენებული მხარე ადგილობრივი ხელისუფლების ბრალეულობაზე ესაუბრა მანანა კობახიძეს, გიორგი ცაგარეიშვილს. მათი თქმით, ცენტრალური ხელისუფლება არავისი ბრალეულობისთვის ხელის დაფარებას არ აპირებს. ყველა საკითხი იქნება გამიჯნული, რაც საზოგადოებას სამართლიანად აწუხებს. გიორგი ცაგარეიშვილმა ადგილობრივი საკრებულოები საქართველოს პარლამენტს შეადარა და აღნიშნა, როგორც პარლამენტში, ისე საკრებულოებში გამაგრებულნი არიან ნაციონალები. ზოგმა სახე იცვალა და სხვა პარტიაში გადასახლდა, და იქედან კითხულობენ მორალს. პარლამენტის დეპუტატებმა გაღიზიანებული მხარდამჭერები მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებით დაიმედეს და ახლანდელ მდგომარეობასთან შეგუება ურჩიეს. მუხედავად ამისა, ოზურგეთში დაძაბულობა კვლავ გრძელდება. დიმიტრი კვერღელიძის მხარდამჭერთა ჯგუფი აქციების გაგრძელებაზე საუბრობს.

მუნიციპალიტეტის შენობასთან აქცია გრძელდება

გაზეთი ალიონი

მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართული ოცნების“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი, დეპუტატი დიმიტრი კვერღელიძე არჩევნებში დამარცხდა, მის მხარდამჭერთა ერთმა ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წინ კარვები გაშალეს და გამგებლის გადადგომის მოთხოვნით აქცია დაიწყეს.

აქციის ორგანიზატორები იყვნენ თუ არა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი, დიმიტრი კვეღელიძის მხარდამჭერი პარტიები,—ამ პარტიების წარმომადგენლებმა კითხვას ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე უარყოფითი პასუხი გასცეს.

თუმცა ისინი რომ აქციის უკან დგანან, ამას პარასკევს საღამოს მოწყობილი სახელდახელო ბრიფინგიც მოწმობს.

როგორც საკრებულოს წევრმა, **ლელა ნაცვალაძემ** რესპუბლიკურ და ადგილობრივ მედიასაშუალებებს განუცხადა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ ჩამოხია აქციის მონაწილეთა მიერ მუნიციპალიტეტის შენობის წინ გამოკრული პლაკატები, სადაც მოთხოვნა გამგებლის გადადგომა იყო, მოგვაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო მძღოლმა უკანა სვლით ავტომანქანა ლამის დაავჯახა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს.

აქციის მონაწილენი ითხოვენ: შსს სამინისტრომ შეისწავლოს აქციის მონაწილეებზე განხორციელებული ქმედებების ფაქტი; ასევე შეამოწმონ ატარებს თუ არა შარაშენიძე ცეცხლსასროლ იარაღს.

აქციის მონაწილე ნუგზარ გიორგაძემ სამართალდამცავებიდან აქციის მონაწილეთა დაცვა მოითხოვა.

რედაქცია მომხდარზე კომენტარისთვის კოსტანტინე შარაშენიძეს დაუკავშირდა. იგი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა.

—ადმინისტრაციულ შენობებზე პლაკატების გაკვრა კანონით აკრძალულია. მე არავისთვის მიმიყენებია არანაირი შეურაცხყოფა —განუცხადა გაზეთ „ალიონს“ კონსტანტინე შარაშენიძემ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე შემდეგი სახის განცხადება გაავრცელა:

ერთი კვირაა რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მჯდომარე საპროტესტო აქცია მიმდინარეობს მოთხოვნით, რომ მე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტი დავტოვო. აქცია მხოლოდ რამდენიმე მოქალაქისაგან შედგება და ბუნებრივია მიჩნდება კითხვა - ჩემი, როგორც გამგებლად ყოფნა არ ყოფნის საკითხი მხოლოდ ამ ადამიანების გადასაწყვეტია? სად არიან და თუ არიან, მაშინ რატომ არ უერთდებიან მათ ჩემი საქმიანობით უკმაყოფილო სხვა ადამიანები? აცხადებენ, რომ გამგეობიდან მოქალაქეები ატირებული გამოდიან, რაც სრული სიცრუეა. ორშაბათობით, როცა შეჭირვებული მოსახლეობის მიღებას ვერ ავუდივართ, კვირის სხვა დღეებში მე მათ ჩემს სამუშაო კაბინეტში ვიღებ და დახმარების გარეშე არცერთ მათგანს არ ვტოვებთ. აქციის მონაწილეებს მოვუწოდებ, რომ შეეშვან უსაფუძვლო ბრალდებებს და იმით დაინტერესდნენ თუ რა გაკეთდა მუნიციპალიტეტისათვის მთელი ამ შვიდი თვის განმავლობაში. მოიკითხონ სოფლებში, ნარუჯაში, ლაითურში, ნასაკირალში ჩვენს მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგი, რაც ჩემი მოსვლიდან დღემდე განხორციელდა. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა და ძალისხმევისა, მაინც შეუძლებელია შვიდ თვეში ყველა ის პრობლემა გადაჭრა, რაც წლების მანძილზე მოუგვარებელი იყო.

უარგუმენტო და არადამჯერებელია ამ ადამიანებისაგან იმაზე საუბარი, რომ თითქოს მე ოზურგეთის სირცხვილი ვარ, და თუ კოტე შარაშენიძე ნამდვილად ოზურგეთის სირცხვილია, მაშინ მოვუწოდებ ადგილობრივ მედია საშუალებებს, რომ სწორედ ამ სიტყვების ავტორების წარსული ცხოვრებით დაინტერესდნენ. მე კი მათ ვეტყვი, რომ ის ქმედებები, რითაც ისინი ჩვენს შეფერხებას ცდილობენ, ხელს ვერ შემიშლის მუნიციპალიტეტისათვის გასაკეთებელი საქმის ღირსეულად წარმართვაში!

კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

1 ივლისი	2 ივლისი	3 ივლისი	4 ივლისი	5 ივლისი	6 ივლისი	7 ივლისი
მზე	ელ-ჭექი	წვიმა	წვიმა	წვიმა	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი
+22+32	+20+27	+18+23	+18+22	+19+25	+18+25	+19+26
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ნადგურდება ანასეულის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა"

მარი კოკოევი

ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის გათავისუფლებული, ასევე ამჟამადაც მომუშავე თანამშრომლები კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ გამოდიან.

–„ორი წლის წინ ჩვენი ინსტიტუტი აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა. გასული წლის აგვისტოში დაგვიბარეს თბილისში, სადაც ჩატარდა ფიქტიური ატესტაცია. სინამდვილეში ატესტაციის მიზანი თანამშრომლების გათავისუფლება იყო. გარდა იმისა, რომ სამსახურიდან დაგვითხოვეს, დახურეს ინსტიტუტის წამყვანი განყოფილებები. ნადგურდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასევე ინსტიტუტის ფართობები და ექსპერიმენტული ბაზა"– ეს განცხადება ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ცნობილმა მეცნიერებმა ინგუში ჭოლაძემ, ნანული ორაგველიძემ, რუსუდან ტაკიძემ და იურისტმა გოჩა ძიმისტარაშვილმა გააკეთეს.

–„გვინდა მიმართვა გავუგზავნოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას აპირებს და ვუთხრათ სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. დარგმოძულე ადამიანი ხელმღრვანელობს დარგს. ბენდუქიძე არის არაკომპეტენტური, საკითხის უცოდინარი და კრიმინალი"– განაცხადეს მეცნიერებმა შეხვედრაზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლასთან შეკრებილი მშობლების, გულშემატკივრების მრავლობაა გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში.

ნოდარ გოგიტაური, აბიტურიენტი: – ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე თავდაპირველად ცოტა ვინერვიულე, თუმც შემდეგ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. ახლა მომდევნო გამოცდებისთვის ვემზადები და შედეგებს ველოდები.

ანი მიქაბერიძე, – ჩემი პასუხით უკმაყოფილო არ ვარ, გარემოც კარგი იყო შექმნილი, თუმცა ემოციური დამოკიდებულებები და გარკვეული ნერვიულობა მაინც გვიშლის ხელს, მაქსიმალურად გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები.

მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს

3 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ნავთობაზის ადმინისტრაციულ შენობაში შუქისა და წყლის გარეშე. მივმართე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს დახმარებისათვის. იგი „ენერგო პრო ჯორჯიას" და წყლის კომპანიას დაუკავშირდა და სთხოვა სოციალურად დაუცველი ოჯახის დახმარება. მათ პრობლემა მოაგვარეს.

მადლობა მაჟორიტარ დეპუტატს თანადგომისათვის.

ლია ტულუში.

დიმიტრი კვერელიძის მხარდამჭერი პარტიების განცხადება

„25 ივნისს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „ქართულ ოცნებაში" შემავალმა დიმიტრი კვერღელიძის მხარდამჭერმა პარტიების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განცხადება გააკეთეს.

„გუშინ შედგა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები. საკრებულოს წევრების უმრავლესობა, მხარი არ დაუჭირა საკრებულოში კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალი პარტიების ერთადერთ წარმომადგენელს, ბატონ დიმიტრი კვერღელიძეს და თავმჯდომარედ აირჩია ბატონი ავთანდილ სურგულაძე – „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი, სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში. (საპარლამენტო არჩევნებისას კოალიციის ცუდი საარჩევნო შედეგი სწრედ ა.სურგულაძის მხრიდან აქტიური წინააღმდეგობის გამოც იყო).

გუშინდელი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევანის შედეგმა მოახდინა იმ პროცესების ლუსტრაცია, რომელზეც ჩვენ უკვე თვეების განმავლობაში ვსაუბრობთ. კერძოდ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ადგილობრივი ლიდერების (განსაკუთრებით კოტე შარაშენიძის) მხრიდან ხდება კოალიციური მუშაობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის იგნორირება. მეტიც, ადგილი აქვს „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებთან სრულ ინტერესთა თანხვედრას (ანუ შეხმატკბილებულ თანაცხოვრებას ე.წ კოჰაბიტაციას) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ხელისუფლებაში. თუ კი აქამდე ეს პროცესები ნაკლებად იყო შესამჩნევი საზოგადოების ფართო ფენომენისათვის და მხოლოდ ჩვენთვის, პროცესებში ჩართული ადამიანებისთვის იყო ხილული, გუშინდელმა არჩევნების შედეგებმა ის ზედაპირზე ამოიყვანა.

ეჭვგარეშეა, რომ ფაქტი უარყოფითად მოქმედებს კოალიცია „ქართული ოცნების" აქტივისტებზე და მათ მხარდამჭერ ელექტორატზე, რასაც პირდაპირი ასახვა მოყვება კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე.

კოტე შარაშენიძე უკვე ფლობს რა სერიოზულ ბერკეტებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ხელისუფლებაში, იგი შეიძელება სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს საპრეზიდენტო არჩევნებში.

ჩვენი პოლიტიკური პასუხისმგებლობა გვკარნახობს, რომ მივმართოთ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და კოალიციის ხელმძღვანელებს და ვთხოვოთ, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ შექმნილ მდგომარეობას და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი კოალიციაში მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად."

„თავისუფალი დემოკრატების" ოზურგეთის ორგანიზაცია დ. კვერღელიძე
„საქ. რესპუბლიკური პარტია ოზურგეთის ორგანიზაცია ტ. მიქატაძე
„ეროვნული ფორუმი" ოზურგეთის ორგანიზაცია შ. გოგიბერიძე

გურიაში შინამეურნეობების სიის დადგენა დაიწყო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრებ შინამეურნეობების სიის დადგენა დაიწყო. ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება საქართველოს სინამდვილეში პირველად გურიის რეგიონში განხორციელდება. გურიაში სიის შედგენის დასრულების შემდეგ სამუშაოები საქართველოს სხვა რეგიონებში კახეთსა და სამეგრელოში გაგრძელდება სამუშაოებს განახორციელებენ ამ მიზნით საქსტატის მიერ სპეციალურად შერჩეული რეგისტრატორები.

ღონისძიებაში ჩართვის მსურველი მოქალაქეებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რამოდენიმე დღის განმავლობაში ტარდებოდა ტრენინგ-სემინარი, რომელსაც უძღვებოდენ საქსტატის სპეციალისტები; ფოთის რეგიონალური სტატისტიკის სამართველოს უფროსი ფირუზ სორდია, საქსტატის სპეციალისტი ნათელა ქველაძე, რეგიონალური კოორდინატორი სევერიან საჯაია და მუნიციპალური კოორდინატორი მედეა ბარამიძე. ტრენინგ- სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ; საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე და მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსი პაატა შავიშვილი.

მოქალაქეებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სწავლების კურსი გადაეცათ აღჭურვილობა და შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი რეგისტრატორის მოწმობა. რეგისტრატორები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას პირველი ივლისიდან შეუდგნენ სამუშაო ორი კვირის განმავლობაში უნდა დასრულდეს

ომარ ბაკურაძე

ერთი ლამაზი დღე მე-3 ბაღში

მარი კოკოევი

ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღმა დამამთავრებელი ჯგუფის 36 აღსაზრდელი, უკვე „დიდი" გოგო-ბიჭები, გააცილა და სკოლისკენ გზა დაულოცა. მიზეზი მშვენიერი იყო, რომ ლამაზი ღონისძიება მოეწყოთ. გამოსაშვები კონცერტი კარგი რომ გამოსულიყო მასწავლებლებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, შედეგიც შესაბამისი იყო. პატარების მთელი მონდომებით წაკითხული ლექსები, სამეჯლისო და ქართული ცეკვები, მუსიკის მასწავლებელ ცირასთან ერთან ნამღერი სიმღერები სახალისო და სასიამოვნო სანახავი იყო. „დღეს ჩემი საყვარელი მოსწავლეები ბაღს ეთხოვებიან. ჩვენ ამ ბავშვების ცხოვრებით ვცხოვრობდით" თქვა ჯგუფის მასწავლებელმა ნაზი გობრონიძემ, რომელიც ყველა ბავშვს იმ სიყვარულით დაემშვიდობა, რომელიც ჭეშმარიტ მასწავლებელს ახასიათებს ხოლმე მოსწავლეებისადმი. განათლების პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა როზა გოგუაძემ პატარებს მომავალი წარმატებები უსურვა.

როზა გოგუაძე: „თქვენ ხვალინდელი დღე ხართ. მინდა დაგილოცოთ მომავალი. ნათლით მოსილი ყოფილიყოს თქვენი სავალი გზა".

ამავე ღონისძიებაზე ბაღის ორი პედაგოგი ნაზი გობრონიძე და მედეა კეკელიძე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენლებმა წლების განმავლობაში გაწეული მუშაობისა და დამსახურებებისთვის სიგელებით დაჯილდოვეს.

კიდევ ერთი მიზეზი,რის გამოც ღონისძიება დასამახსოვრებელი და ემოციებით სავსე გამოდგა, განათლების პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის როზა გოგუაძის ინიციატივითა და ორგანიზებით კონცერტს მესამე ბაღის ღვაწლმოსილი პედაგოგები დაესწრნენ. ადამიანები, რომლებიც აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებაში წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ და თაობები აღზარდეს. საპატიო სტუმრები გულაჩუყებულები, ცრემლმორეულები და მოწვევით მადლობლები იყვნენ. მესამე ბაღში პატარებზე ზრუნვაში გატარებულ ლამაზ დღეებს სიამაყით იხსენებდნენ. მასწავლებელთა ახალ თაობას კი ტრადიციების გაგრძელებისა და კარგი მასპინძლობისთვის მადლობას უხდიდნენ.

ღონისძიების ბოლოს თითოეულ ღვაწლმოსილს პროფკავშირისგან სიგელები და საჩუქრები გადაეცა.

„ბინდისფერია სოფელი...“

„მკვდრები არ არიან მკვდრები, სანამ ცოცხლები მათ მოწიწებით მოიხსენიებენ“

ანდრე მურუა

გაზეთი „ალიონი“

პირობითად ასეთი სათაური ესადაგება ჟურნალისტ ეთერ ქადეიშვილის სცენარის მიხედვით 26 ივნისს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ოზურგეთში მოღვაწე გარდაცვლილ ჟურნალისტთა ხსოვნის საღამოს.

ეს სცენარი სამი წლის წინ დაწერა ჟურნალისტმა. სამწუხაროდ, მავანმა და მავანმა, გაურკვეველი მიზეზით ხსოვნის საღამოს განხორციელებას არ მისცა „ვიზა.“ (ხომ საჭირო იყო თეატრის სცენა, ანსამბლები).

2013 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე დაინტერესდა ამ სცენარით და სთხოვა კულტურის სამსახურს, კულტურის ცენტრთან და საზოგადოებრივ კავშირ „თეთრი მანდილი 21+1“ მოეწყოთ საღამო. საღამო შედგა.

რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ, მუსიკალურმა გამფორმებელმა ნატო ხომერიკმა, წამყვანებთან თეა იოსელიანთან და ჟანა მეგრელიშვილთან ერთად დარბაზში მსხდომ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, თანაქალაქელებს. მოუთხრეს იმ პერიოდზე, სადაც კადრებივით გაიელვეს ამ ადამიანთა სახელებმა:

ვახტანგ აბაშმაძე, ამბროსი სალუქვაძე, ლეონიდე მახარაძე, ვახტანგ ჯაყელი, აფთონ გურგენიძე, თამაზ სალუქვაძე, აკაკი მჟავანაძე, ბორის შეწირული, ოთარ საჯაია, არკადი ზაქარიაძე, სოლომონ გოგუაძე, ბეგლარ ჩხაიძე, მამია კილაძე, ნუგზარ ქინქლაძე, გიზო ჭელიძე, ვაჟა ჭანუყვაძე, მინდია თავაძე, ანა ართილაყვა, გერმანე ანდღულაძე, ვასილ მექვაბიშვილი, ვალიდა ფიფაიშვილი, ჭიჭიკო ხომერიკი, რუსუდან შაფაქიძე, იური შაქარიშვილი, ზია სამსონია, ილია ჩხატარაშვილი, ზაირა ბილიხოძე, ირინა ცხომელიძე, ნინო გოგუაძე, მედეა მშვიდობაძე, დათო გიორგაძე –აი, არასრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში.

ამონარიდი სცენარიდან. „წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანი და მისი სახელი კი არ უნდა გძულდეს, არამედ ცოდვა და ამ ცოდვის შედეგი–საქმე. ამიტომ, შეგახსენებთ, რომ წლების მანძილზე, დღევანდელ „ალიონს“ „ლენინის დროშა“ ერქვა და იგი რესპუბლიკაში წამყვანი, პოპულარული, ახალგაზრდა ჟურნალისტთა დაოსტატების სამჭედლო იყო. მისი ყოველდღიური ტირაჟი 17 000 ცალს სცილდებოდა.“

საღამოს მონაწილენი თავდაპირველად ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ვასილმა (კვირჩილაძე) დალოცა.

მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი არსენ კეჭაყმაძე, საზოგადოებრივ კავშირის „თეთრი მანდილი 21+1“ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილი, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი, მსახიობი ბელა კიკვაძე, ფოტოჟურნალისტი რევაზ ცქვიტინიძე, გარდაცვლილ ჟურნალისტთა შვილები მარინა ჩხაიძე, ლია კილაძე, კლარა გურგენიძე, დათო გიორგაძის მამა, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი ფოტოკორესპონდენტი გიგლა გიორგაძე.

საღამოს სილამაზე შემატა კვარტეტ „ჰარმონიას,“ ანსამბლ „ელესას,“ „ალილუიას,“ „გამას,“„ედელვაისის,“მუსიკალურ სკოლასთან არსებულ გოგონათა გუნდის მიერ შესრულებულმა ნომრებმა, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა.

საღამოს ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, გამგებლის მოადგილე ირაკლი სირაძე და კულტურის სამსახურების ხელმძღვანელები.

მაყურებელთა სიმრავლე არ იყო ამ ღონისძიების მიზანი. აქ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ, რომ იყვნენ იმ ადამიანების საღამოზე, რომელთაც საკუთარი მე ჰქონდა, ჰქონდათ უნარი ღირსების შეგრძნების, საქმის ლამაზად კეთების. მათ არ შეეძლოთ სანახევროდ სიყვარული. ადამიანები, რომელთაც მთელი სულის და გულის გაცემა შეეძლოთ!

მათი მრჩეველი არ იყო ზიზღი და ბოღმა, სიძულვილი, შურისძიება. მათი მრჩეველი სინდისის იყო!

ასეა წუთისოფელი: „მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად, სხვას არა წაუღია რა!“

ბორის შეწირული, ამბროსი სალუქვაძე, აკაკი მჟავანაძე. 1947წ.

სარედაქციო თათბირი აფთონ გუგენიძესთან. 60-იანი წლები.

ელ. შევარდნაძე, გ. ჭელიძე, ვ. ჭანუყვაძე, თ. სალუქვაძე, ლ. სიმონიშვილი,...

ჟურნალისტების შეხვედრა სოფ. ნატანებში. 1987წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის სერვისცენტრის“ დირექცია აფრთხილებს ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობას!

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ " საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის №11 დადგენილების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 209 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლიაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაჯარიმდება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალ დარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 50 ლარის ოდენობით.

მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის იზოლაციის შემთხვევაში ხორციელდება მათი ტრანსპორტირება და განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე მოვლა შენახვით და სათანადო კვების უზრუნველყოფით, ამისთვის დღიური შენახვის საჭირო ხარჯები შეადგენს 10 ლარს.

წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 30 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და პირუტყვის მოვლა პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება პირუტყვის რეალიზება საბაზრო ფასებით.

იმ შემთხვევაში, როცა პირუტყვის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა აღემატება დაკისრებული ჯარიმის, სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა პატრონობის ხარჯებს, ზედმეტი თანხა უბრუნდება პირუტყვის მესაკუთრეს.

შენიშვნა - ჯარიმა და მომსახურების საფასური შეტანილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე 300663270, სახელისა და გვარის მითითებით.

ღ

ჩვენ ერთნი ვართ

„ჩვენ ერთნი ვართ “ – ამ სახელწოდების ლამაზი ღონისძიება გაიმართა ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარები, ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, ჩამოსული სტუმრები თბილისიდან, ფოთიდან.

ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ მიერ წარმოდგენილ ნახატებში ის სითბო და სიყვარული იგრძნობოდა, რაც სჭირდება ადამიანურ ურთიერთობებს. იქვე წარმოდგენილი იყო სარეაბილიტაციო ცენტრის წარმომადგენელთა მიერ დამზადებული ბისერების, ნაქარგობების, ნახატების, სუვენირების გამოფენა-გაყიდვა. შემდეგ კონცერტით გაახალისეს მაყურებელი.

ევროპის პირველობაზე II ადგილი



18-23 ივნისს, მონტენეგროში, ქ. ბარში ჩატარდა ევროპის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები დავით ჩხარტიშვილი და ლევან ქავჟარაძე.

50 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე დავით ჩხარტიშვილმა (მწვ. ძმები ზურაბიანები) კარგად დაიწყო ტურნირი, მაგრამ შემდეგ ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა.

58. კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლევან ქავჟარაძემ (მწვ. ალ. ბოლქვაძე) დამაჯერებლად მოიგო სამი შეხვედრა და ფინალში სომხეთის წარმომადგენელს შეხვდა. დაძაბულ ბრძოლაში სომეხმა სპორტსმენმა გაიმარჯვა. ლევანმა ევროპის პირველობაზე II ადგილი დაიკავა.

ლევანს აგვისტოში სერბეთში მოუწევს გამოსვლა. იგი აქ მსოფლიო პირველობაზე მოსინჯავს ძალებს. ვუსურვოთ მას წარმატებები

ოზურგეთელი მძლეოსნების მორიგი წარმატება

14-16 ივნისს, ქ. თბილისში, ცენტრალურ ეროვნულ სტადიონზე გაიმართა 1996-2000 წლებში დაბადებული მძლეოსნების პირადი პირველობა.

ოზურგეთის სასპორტო სკოლა აქ 8 სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი.

ლენე ტოლსტოვა საქართველოს ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე რბენაში (28,0 წმ.) და სიგრძეზე ხტომაში (4,79 მ.). ელენე 100 მეტრზე რბენაში II იყო, (12,98 წმ.).

სერგო ხანჩალიანი შუბის ტყორცნაში II იყო (800 გრ. 34,75 მ.) ასეთივე შედეგი ჰქონდა ნანი პაკელიანს 1კგ-იანი ბადროს ტყორცნაში (34,90 მ); შუბის ტყორცნაში III შედეგი აჩვენეს მარი კეკელიძემ (600 გრ. 28,72 მ) და ბესო ჩხაიძემ (800 გრ. 22,75 მ.)

ოზურგეთის „მერცხალის“ გარდაცვლილი ფეხბურთელები (50-60-იანი წლებიდან).

მეკარეები: შუტუ სალუქვაძე, შოთა მუჯირი, მამუკა გირკელიძე, მიშა ცომაია, გური ვადაჭკორია, ლაჟვარდი ბოლქვაძე, ტარიელ ლომჯარია, ომარ გორგოშიძე, ჟორა ლომაძე, ლერი რუსიძე.

მცველები: №2: ჟორა მეგრელაძე, რეზო ცერცვაძე, ჰამლეტ დოლიძე, ანტონ დუმბაძე, ზურაბ მარგველაშვილი, სლავა ოვჩინიკოვი:

№3: მამია ცეცხლაძე, შოთა ხოშტარია, რეზო სალუქვაძე, ანზორ სიამაშვილი, მერაბ სარიშვილი:

№4: ვასო ბეშიტაიშვილი, აკაკი ხურციძე, გური ჩავლეიშვილი, ვალიკო ჭანუყვაძე, ვლადიმერ თავბერიძე, აჩიკო გაგუა, რევაზ ღლონტი, რუბიკა ხუჭუა, გრიბული დგებუაძე, რევაზ წივწივაძე, ვლადიმერ გოგოტიშვილი.

ნახევარმცველები: №5: აჩიკო კილაძე, დავით სამსონიძე, ნიკოლოზ ჭანუყვაძე, ბიძინა ტაბიძე, ილო ბილიხოძე, ბეჟან თოიძე;

№6: ვაჟა ჭყონია, ალექსანდრე ბოლიაკი; რევაზ ხომერიკი, ბადრი თალაკვაძე, ვჯონი კაკალაძე, იური ურუშაძე.

№7: დუდე მასხულია, რევაზ ვჯიბუტი.

თავდამსხმელები: №8: კოტე გოგატაძე, მიხეილ გორდელაძე, გური ქუტიძე, ვაჟა მახარაძე;

№9: ზაზა მასხულია, თამაზ სალუქვაძე, ოთარ კიშინკი, რაულ ჩავლეიშვილი, დათო მეგრელაძე;

№10: ბაბა მექვაბიშვილი, გენო მენაბდე, ამირან უნგიაძე, ავთო ნინუა, რობერტი ლომაძე:

№11: მამული მექვაბიშვილი, მერაბ მეგრელაძე.

სურათზე: (მარჯვნიდან) ანზორ კავაზაშვილი, შალვა ჩინოიანი, (მთავარი მსაჯი), ნიკოლოზ კისილიოვი (კაპიტანი), ნოდარ ჩხარტიშვილი (გადაღებულია 1969 წელს ოზურგეთის „მერცხალისა“ და მოსკოვის „სპარტაკის ამხანაგური შეხვედრის წინ. შეხვედრა 3:0 მოიგო „სპარტაკმა.“

მოწვეული ფეხბურთელები:

მეკარეები: კიმა ივლიევი („სპარტაკი“ თბ.): გოგი კობახიძე („ლოკომოტივი“თბ.)

მცველები: №2: გაიოზ დევდარიანი, გივი სიმონიშვილი (ორთავე ტტუ თბ), თენგიზ ფენაშვილი (ფიზკ. ინსტ. თბ); №3: ნიკოლოზ გოგლიძე („დინამო“თბ); №4: ნიკოლოზ გაგნიძე („დინამო“ თბ); ნახევარმცველები: №5: გურამ გომელაური („ტორპედო“ქუთაისი); დავით ჭანტურია („დინამო“ ბთ.); №6: ზურაბ მესხაძე („სპარტაკი“თბ); №7: ვახტანგ გვარამაძე (ტტუ თბ.);

თავდამსხმელები: №8: ომარ ბახტაძე (ტტუ თბ.); №9: ნოდარ ბახტაძე (ტტუ თბ.); №10: ზურაბ გავაშელი („ალაზანი“გურჯაანი); გარი შავიშვილი (თბ. №35 საფეხბურთო სკოლა); №11 ანზორ კოშკელოვი („ლოკომოტივი“თბ).

მწვრთნელები:

არჩილ კილაძე (1954 წ.)
მიხეილ ჭელიძე (1955 წ.)
გვაჩი ჯორბენაძე (1956 წ)
ნიკოლოზ გოგლიძე (1957-58 წ.)
აკაკი ხურციძე (1959-61 წ.წ.)
დუდე მასხულია (1962-63 წ.წ.)
რეზო სალუქვაძე (1964 წ.)
ბიძინა ტაბიძე (1965-66 წ.წ.)
მიხეილ გორდელაძე (1967-70 წ.წ.; 1974-75 წ.წ)
ანატოლი ნორაკიძე (1971-73 წ.წ.)
ავთანდილ ახობაძე (1976-80 წ.წ.).
ვაჟა ხინთიბიძე (1981 წ.)

სია შეადგინა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა შალვა ჩინოიანმა

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას

ოზურგეთში უმცროსი გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე. ვაკანსიის დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე jobs.bog.ge დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე region-job@bog,ge ან დატოვოთ შემდეგ მისამართზე:

ოზურგეთი, გურიის ქ. №18,
2013 წლის 4 ივლისის ჩათვლით.
გისურვებთ წარმატებას!

ოზურგეთელი მოკრივეების წარმატება

ქ. ბათუმში ჩატარდა შაქრო ხუდიანის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი კრივში, რომელშიც ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

კარგად იასპარეზა 42. კგ. წონით კატეგორიაში ირაკლი უგრეხელიძემ. მან ყველა ორთაბრძოლა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

29 და 31 კგ. წონით კატეგორიებში ასევე I ადგილი დაიკავეს ოთო და რომა აბესაძეებმა.

36 კგ. წონით კატეგორიაში ფინალური ორთაბრძოლა დათმო და II ადგილს დასჯერდა გიორგი გოგელია.

ჟიურის წევრებთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა ოთარ აბესაძემ. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გუნდი მწვრთნელმა იური საჯაიამ მოამზადა.

თორნიკე ხვედელიძის ხსოვნას

გასული საუკუნის ბოლოს გავიცანი თორნიკე. მაშინ იგი სკოლის მოსწავლე იყო. ცნობილ მოჭადრაკესა და მწვრთნელთან, ქალბატონ მზია წერეთელთან ერთად მოვიდა რედაქციაში, გაგვეცნო და დაიწყო ჩვენი ურთიერთობები.

მახსოვს, ქალბატონმა მზიამ მითხრა, „თორნიკე ძალიან ნიჭიერია, თუ ჭადრაკს გაჰყვა, დიდი მომავალი ელოდებაო.“ მართლაც, თორნიკე თანატოლებს, მის უფროს მეტოქეებს უმტკიცებდა, რომ იგი უძლიერესი მოჭადრაკე იყო რეგიონში და აკი დაამტკიცა კიდეც –ოზურგეთელთაგან პირველი გახდა გურიის ჩემპიონი. არაერთ ტურნირში აჩვენა მაღალი შედეგი...

სკოლის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში გადავიდა. სწავლა, ოჯახი (ადრე დაქორწინდა) და ჭადრაკი ვერ ააწყო ერთად და აქტიურ სპორტს ჩამოსცილდა.

უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთ-ერთ კომპანიაში დაიწყო მუშაობა....

წელს, დიდი ხნის შემდეგ, გაზაფხულის ბოლოს თორნიკემ რეგიონის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაზე მიიღო მონაწილეობა. ოზურგეთა ღირსებას იცავდა. მცირე დააკლდათ ჩემპიონობამდე, II ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მის დაფაზე თორნიკემ საუკეთესო შედეგი აჩვენა.

– აწი ყველა ჩემპიონატში მივიღებ მონაწილეობას– პირობა დადო ტურნირის დასრულების შემდეგ სახელდახელოდ მოწყობილ მაგიდასთან. ის სულ სხვა იყო. თავისი გარეგნობით, სიტყვა-პასუხით ყველას პატივისცემას იმსახურებდა.

მაგრამ.... ქუთაისთან მომხდარმა ავტოკატასტროფამ სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა. კიდევ ერთი ახალგაზრდა, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი წავიდა საწუთროდან...

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს თორნიკე ხვედელიძის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე